ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 24

ქ. ბათუმი 13. 06. 2015 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (მე-10 მუხლის 3-ე ნაწილის ა) ქვეპუნქტის) და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების (23-ე მუხლისნ 2-ე ნაწილის ა) ქვეპუნქტის) შესაბამისად.

ერთის მხრივ სსიპ ბათუმის №18 საჯარო სკოლა დირექტორის მ/შ დონარ გეგიძის სახით ქ.ბათუმი გრიშაშვილის ქ №3 შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ შპს „ივიჯი“დირექტორი ედნარ გელაძე ბათუმი ჭავჭავაძის ქ №66 შემდგომში „მიმწოდებელი“ ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა სკოლას მომსახურება პრინტერის შეკეთება კოდი (50300000,50310000) ხოლო დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 25 (ოცდახუთი) ლარი.

1.3. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფორმა №3-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. საქონლის მიღება – ჩაბარება

2.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. საქონლის გადაცემა ხდება შემსყიდველის ადგილსამყოფელის მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

2.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

2.3. მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან მიღებული საქონლისათვის.

2.4. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

2.5. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

3. გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

3.2. ამ გარანტიის მოქმედების ვადა და სხვა პირობები განისაზღვრება დამოუკიდებელი ხელშეკრულებით.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

3.4. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის გამოყენების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი სარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის შემდეგ 5 საბანკო დღის განმავლობაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან მემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები ვერ შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდემა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

8.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს საქონელი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

9.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

9.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

9.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების სედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა, გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მაფი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალ ური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. გამოყენებული სამართალი

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

14. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში რეგისტრაციის შემდეგ და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე. ძალაშია 30.06.2015წელი

16. გადასახადები და ბაჟები

16.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

„შემსყიდველი"

სსიპ №18 საჯარო
თამარის დასახლება გრიშაშვილის ქ№3
ს/კ 245429193
სს „კორ სტანდარტ ბანკი"
ბანკის კოდი: AGREGE22
ა/ნ:GE34KS0000000004172466
ტელ. 557 290 877
დირექტორი
დონარ გეგიძე

„მიმწოდებელი"

შპს ივიჯი

ს/კ 245439271
სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBG22
ა/ა GE23TB1063536020146701

ფორმა 3

ინფორმაცია საქონლის რაოდენობისა და ღირებულებების შესახებ

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი	ანგარიშსწორების ვადა	შენიშვნა
1	პრინტერის შეკეთება	1	25.00	25.00		
	ჯამი:			25.00		

„შემსყიდველი“

მსიპ №18 საჯარო სკოლა
თამარის დასახლება გრიშაშვილის ქ№3
ს/კ 245429193
სს „კორ სტანდარტ ბანკი“
ბანკის კოდი: AGREGE22

ა/ნ:GE34KS0000000004172466
ტელ. 557 290 877
დირექტორის მ/შ
დონარ გეგიძე

„მიმწოდებელი“

შპს „ივიჯი“

ს/კ 245439271

სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBG22

ა/ა GE23TB1063536020146701
დირექტორი
ედნარ გელაძე

მიღება- ჩაბარების აქტი

„15“„06“ 2015წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ქ.ბათუმის №18 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ. დონარ გეგიძე კორდინატორი გულნარა დავითაძე მეორეს მხრივ, შპს „ივიჯი“ მიღება-ჩაბარების აქტი შემდეგი დასახელების ინვენტარზე

№	ინვენტარის დასახელება	ზომის ერთეული	რა-ბა	ფასი	თანხა
1	პრინტერის შეკეთება	ც	1	25.00	25.00
	ჯამი:				25.00

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით არც ერთ მხარეს პრეტენზია არ გაგვაჩნია, რასაც ვადასტურებთ ჩვენი ხელმოწერებით.

მიიღო-------------- ჩააბარა-------------

დირექტორის მ/შ: დონარ გეგიძე

კოორდინატორი: გულნარა დავითაძე/

შპს **ევიჯი**
ს.კ: 245439271
ბათუმი, ჭავჭავაძის N66
ტელ.: 271749; 222811
evg@evg.ge

აქტი შესრულებულ სამუშაოზე.

თარიღი: 15/06/2015
დოკუმენტის №: 3797

გადამხდელი: **სსიპ ქალაქ ბათუმის #18 საჯარო სკოლა**
საიდენტიფიკაციო კოდი: 245429193

№	დასახელება	შენახვის ადგილი	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა	ნაშთი
1	პრინტერის შეკეთება		სხვა	1.00	25.00	25.00	

ჯამი:	**25.00**
ფასდაკლება:	**0.00**
ჯამი სულ:	**25.00**

გიორგი ზარანდია

უნაღდო

EVG
245439271
GEORGIA. "EVG" LTD

KSB კორ სტანდარტ ბანკი
კორ-სტანდარტ ბანკი, ქ. თბილისი 0103, ქ. წამებულის 3
ტელ: (995 32) 507700, 507711
ფაქსი: (995 32) 507707

საგადასახადო დავალება N 22

თარიღი 23.06.2015

თანხა	25.00 GEL

გადამხდელი სსიპ"ქ. ბათუმის N18 სკოლა", 245429193

საიდენტ. კოდი 245429193

გადამხდელის ანგარიში GE34KS0000000004172466

გადამხდელის ბანკი სს "კორ სტანდარტ ბანკი" ბანკის კოდი KSBGGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

დასახელება სსიპ"ქ. ბათუმის N18 სკოლა", 245429193

საიდენტ. კოდი/პირადი ნომერი 245429193

მიმღები შპს ივიჯი

საიდენტ. კოდი

მიმღების ანგარიში/ სახაზინო კოდი GE23TB1063536020146701

მიმღები ბანკი/ხაზინა სს "თიბისი ბანკი" ბანკის კოდი TBCBGE22

გადახდის დანიშნულება პრინტერის შეკეთება

დამატებითი ინფორმაცია

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის
თარიღი 23.06.2015

შესრულების
თარიღი 23.06.2015

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

მთ. ბუღალტერი

245429193

KSB კორ სტანდარტ ბანკი
დაბეჭდილია ინტერნეტ-ბანკინგით
PRINTED VIA INTERNET BANK
KSBGGE22